თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 5

ქ. თერჯოლა 4 ივლისი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. ბიძინა ბუცხრიკიძე, 4. ჯემალ ისაკაძე, 5. კობა კაცაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანლკვეტაძე, 2. მერაბ ბასილაძე, 3. ივანე ჩუბინიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.945) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სათვის გადაცემის შესახებ) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282318455 წერილი, 03.07.2023 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.945) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სათვის გადაცემის შესახებ) განკარგულების პროექტი- კომპანიას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქირავნობის ფორმით, ერთი

წლის ვადით გადაცემული ქონდა აღნიშნული ფართი. ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2023 წლის 1 ივლისს. 2023 წლის 28 ივნისს კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება იგივე პირობებით. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული 67 m^2 არასაცხოვრებელი ფართი კომპანიას გადაეცეს ექვსი თვის ვადით და ქირავნობის საფასური განისაზღვროს 1005 ლარის (თვეში 167.5 ლარი) ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.945) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სათვის გადაცემის შესახებ)

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე